სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080182752016316

 # 2098 **18 / ივლისი / 2016 წ.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 13 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP160001948 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს გრაფიკული სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების შესყიდვას (CPV79340000 - სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 23 ივლისიდან პირველი აგვისტოს ჩათვლით საქართველო მასპინძლობს ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 75-მდე ქვეყანა. ოლიმპიადა ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ ტურებს, კულტურულ ღონისძიებებს, სტუმრებისათვის ქვეყნის ღირსშესანიშნაობების, ისტორიისა და კულტურის გაცნობას, ექსკურსიებს, გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს და სხვა. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეკლამო კამპანიის წარმართვას, რადგან ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებას.

ზემოაღნიშნული კამპანიის ფარგლებში, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით შეხვედრები შედგა ბიზნეს სექტორთან. აღნიშნული შეხვედრების შედეგად, გრაფიკული სარეკლამო რგოლის დამზადებისა და გარე რეკლამის ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით 4 ივლისს მზადყოფნა გამოხატა სს „ლიბერთი ბანკმა", ხოლო სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსება უნდა უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. სარეკლამო კამპანიის დაწყება დაგეგმილია 2016 წლის 22 ივლისს და შესაბამისად, სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარება ვერ ესწრება.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, 2016 წლის 23 ივლისიდან პირველი აგვისტოს ჩათვლით საქართველო მასპინძლობს ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელშიც

მონაწილეობას მიიღებს 75-მდე ქვეყანა. ოლიმპიადა ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ ტურებს, კულტურულ ღონისძიებებს, სტუმრებისათვის ქვეყნის ღირსშესანიშნაობების, ისტორიისა და კულტურის გაცნობას, ექსკურსიებს, გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს და სხვა. შესაბამისად, ვინაიდან ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადის საქართველოში გამართვა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სარეკლამო კამპანიის წარმართვას, რისთვისაც აუცილებელია სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსება. ამასთან, ვინაიდან ოლიმპიადის დაწყებამდე ვერ ესწრება სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურების დასრულება, სახეზეა შეზღუდული ვადების არსებობა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით ბიზნეს სექტორთან გამართულმა შეხვედრებმა მოითხოვა გარკვეული დრო და მხოლოდ 4 ივლისს გადაწყდა მზადყოფნა გრაფიკული სარეკლამო რგოლის დამზადებისა და გარე რეკლამის ხარჯების სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ანაზღაურების საკითხი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია მომართვაში მითითებული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP160001948 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე